საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/12 **2/07/2021**

რეცენზია

65 წელს ზევით პირთა რეგულარული მეთვალყურეობა პირველად ჯანდაცვაში

გერიატრიული მედიცინა პირველადი ჯანდაცვის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. როგორც ცნობილია ჯანმრთელობის ბევრი პრობლემის განვითარება ან გაუარესება დაბერების პროცესის შედეგია. მსოფლიოში ხანდაზმული პოპულაციის რაოდენობის გაზრდა სპეციფიკურ პრობლემებს აყენებს ჯანდაცვის სისტემის წინაშე, რაც მულტიდისციპლინურ მიდგომას და შეფასების ყოვლისმომცველ სისტემას მოითხოვს. პირველადი ჯანდაცვის დონეზე ხანდაზმულთა მეთვალყურეობის სტრუქტურირებული, ყოვლისმომცველი სისტემის დანერგვით შესაძლებელია ამ ასაკობრივ ჯგუფში გავრცელებული ჯანმრთელობის პრობლემების ეფექტური პრევენცია, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, ავადობის შემცირება და ნაადრევი სიკვდილობის თავიდან არიდება.

განსახილველი პროტოკოლი „65 წელს ზევით პირთა რეგულარული მეთვალყურეობა პირველად ჯანდაცვაში“ წარმოადგენს დღეისათვის ხელმისაწვდომ უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სახელმძღვანელოს პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის (ოჯახის ექიმების, შინაგანი მედიცინის სპეციალისტების და პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე ნებისმიერი პროფესიონალისთვის, ასევე საშუალო სამედიცინო პერსონალისა და რეზიდენტებისთვის), რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქსელში დასაქმებულ პერსონალს 65 წელს ზევით პაციენტთა გავრცელებული პრობლემების დროულ გამოვლენაში, ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებასა და უუნარობა/დამოკიდებულების პრევენციაში.

პროტოკოლის მომზადებისას სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებულია Uptodate-ს 2021 წლის რეკომენდაციები გერიატრიულ შეფასებასთან დაკავშირებით, ამერიკის ოჯახის ექიმთა ასოციაციის გერიატრიული სკრინინგის და პრევენციული მომსახურების გაიდლაინი, ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ბრიტანეთის ნაციონალური ჯანდაცვის (NHS) სახელმძღვანელო, აგრეთვე მსგავს თემებზე სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ „ზოგად საექიმო პრაქტიკაში 65 წლის ზემოთ ასაკის პირთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის“ გაიდლაინი და პროტოკოლი დამტკიცებულია 2010 წელს და არ განახლებულა ბოლო 11 წლის განმავლობაში. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენდა აღნიშნული

დოკუმენტების განახლება და მათში გერიატრიულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული უახლესი რეკომენდაციების ასახვა.

პროტოკოლში ასახული რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ; მოწოდებულია მარტივი და მოქნილი სკრინინგული ინსტრუმენტები (CAGE კითხვარი, ყოველდღიური აქტივობის (ADLs), შარდის შეუკავებლობის, კოგნიტური პრობლემების და სხვა), რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია პირველადი ჯანდაცვის დონეზე ხანდაზმულთა სპეციფიკური პრობლემების გამოვლენის გაუმჯობესება და გართულებების პრევენცია. პროტოკოლში ასევე ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობების მართვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამედიცინო პრობლემების, არამედ ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის საკითხების გათვალისწინება, რადგანაც სოციალური იზოლაცია და სიღარიბე ასოცირებულია დეპრესიის, შფოთვის, უნარშეზღუდულობის და საკუთარი ჯანმრთელობის დაბალი თვითშეფასების მომატებულ სიხშირესთან.

პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის სასარგებლო იქნება პროტოკოლში ასახული რეკომენდაციები ხანდაზმულ პაციენტებში მედიკამენტების სათანადო გამოყენების, ნუტრიციული სტატუსის შეფასების, დაცემის რისკის პრევენციის, შარდის შეუკავებლობის და სხვა სპეციფიკური პრობლემების მართვასთან დაკავშირებით.

პროტოკოლში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პჯდ ექიმების კომპეტენციას და ქსელში არსებულ რესურსებს. პროტოკოლის რეკომენდაციების პრაქტიკული დანერგვის მიზნით მიზანშეწონილია შესაბამისი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების შედგენა და ტრეინინგების ორგანიზება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, წარმოდგენილი პროტოკოლი „65 წელს ზევით პირთა რეგულარული მეთვალყურეობა პირველად ჯანდაცვაში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რომლის დანერგვა და პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ხანდაზმულთა სამედიცინო პრობლემების დროულ გამოვლენას, ეფექტურ მართვას და მათთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილებას. შესაბამისად, რეკომენდაციას ვუწევთ მის დამტკიცებას წარმოდგენილი სახით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი